3	ხათუნა	ხატიაშვილი	9	ქეთევან	ჯავახიშვილი	15	ნინო	ბაინდურაშვილი	20	დავით	ყაჭაშვილი
3	მეგი	ბენაშვილი	9	ნათია	ჯამასპიშვილი	15	დარეჯან	მახაური	21	ნოდარ	ზურაშვილი
3	ნინო	კობაძე	9	ხატია	თათეშვილი	15	თინა	მჭედლური	21	ნუგზარ	სეხნიაშვილი
3	ვაჟა	ამბარდნიშვილი	9	ნანი	ნატროშვილი	15	თამარ	ჩარბოდაშვილი	21	მაია	სესიტაშვილი
4	ნუნუ	გოგაშვილი	9	ნინო	ყოჩიაშვილი	15	პავლე	ბერიაშვილი	21	ლალი	ნატროშვილი
4	ზურაბ	ალადაშვილი	9	თინათინ	მირაშვილი	15	ლელა	დემეტრაშვილი	21	მეგი	ორუჯაშვილი
4	ნონა	ზუბიაშვილი	9	თეა	სპანდერაშვილი	15	ნინო	ნიკლაური	21	ლიანა	ყოჩიაშვილი
4	ნინო	ალადაშვილი	9	ნინო	ხეცოიძე	15	შოთა	ქუმსიაშვილი	21	ეკატერინე	იაკობიშვილი
4	ლალი	ბალაშვილი	10	კობა	თარაშვილი	15	ეკა	დიდუბაშვილი	21	ლია	მენტესაშვილი
4	ნინო	ბიძინაშვილი	10	ნათელა	ზუბადალაშვილი	15	მაკა	ბეგიაშვილი	21	მარიამ	ტოკლიკიშვილი
4	ლალი	ალადაშვილი	10	მაისო	გონაშვილი	16	გურამ	ებრაძე	21	ნონა	გოგილაშვილი
4	ნატალია	ბედოიძე	10	თამარ	ბენაშვილი	16	ისმაილ	მუჟანაძე	21	ნოდარ	ყოჩიაშვილი
4	ნინო	ფიროსმანიშვილი	10	ბელა	ლობჯანიძე	16	მაია	საკანელაშვილი	21	ზაქარია	ყოჩიაშვილი
4	თამარ	ლორაშვილი	10	მარინე	ნატროშვილი	16	მალხაზ	თაგოშვილი	22	დავით	დულაშვილი
4	ინგა	სეხნიაშვილი	10	ლია	სეხნიაშვილი	16	ფრიდონ	მახარაძე	22	ვალენტინა	ვალუისკაია
4	მაია	ალადაშვილი	10	ილია	თარაშვილი	16	მერაბ	ცეცხლაძე	22	ნინო	დევრისაშვილი
5	ქეთევანი	გოგილაშვილი	10	ელიზა	ყოჩიაშვილი	16	ინგა	ჯაიანი	22	ჟანა	ბაბიანი
5	ლალი	ნადირაშვილი	10	გენადი	თარაშვილი	16	თამთა	ბოლქვაძე	22	ქეთევან	მჭედლიშვილი
5	მარიკა	ცქიტიშვილი	10	მარინე	ჯანყარაშვილი	16	ინგა	ფუტყარაძე	22	ქეთევან	პოპოვა
5	ანა	ლათიბაშვილი	10	გვანცა	ჯანაშვილი	16	ცილა	ქარცივაძე	22	ვალერი	გეზუმიანი
5	ნინო	მეხრიშვილი	11	ნინა	ნათელაძე	16	ომარ	ბერიძე	22	იზოლდი	დათუკიშვილი
5	ნათია	ყაჭაშვილი	11	თამარ	ჩიხლაძე	16	მაყვალა	ტარტარაშვილი	22	მზია	მეხრიშვილი
5	ნანა	ბეგიაშვილი	11	ნუნუ	ლექაშვილი	17	რომან	სურმანიძე	22	ლიდა	ლობჯანიძე
5	ირინე	ქოქიაშვილი	11	მაია	ალადაშვილი	17	შოთა	სურმანიძე	22	ანჟელიკა	ალვანჯიანი
5	მადონა	ცქიტიშვილი	11	იამზე	ალულიშვილი	17	თამარ	ბოლქვაძე	22	დარიკო	არაბული
5	თინათინ	ქურხულიშვილი	11	ლილი	ჯამასპიშვილი	17	ნანა	ასლანიძე	23	ნანი	ნიკლაური
5	მარინე	ბოსტოლანაშვილი	11	თამარი	ზუბიაშვილი	17	ზურაბ	ვამყამაძე	23	მანანა	უძილაური
5	გულნარა	ჟამიაშვილი	11	ნელი	სეხნიაშვილი	17	ემზარ	ჯაიანი	23	ნუნუ	ბუჯირიშვილი
6	ნინო	სულიაშვილი-არაბული	11	მანანა	ნიკლაური	17	ბერდია	ბერიძე	23	თეა	ბურდული
6	ნოდარ	ზუბიაშვილი	11	თემურ	გოგილაშვილი	17	მიხეილ	ქიზინიძე	23	მაია	გულიაშვილი
6	ანა	გურაშვილი	11	ჯულიეტა	ნივილაშვილი	17	თამარი	შაინიძე	23	მაია	ქოჩიაშვილი
6	თამარ	ტუხაშვილი	11	თამაზი	ნიკლაური	17	დავით	ხილაძე	23	ნათელა	ბოძაშვილი
6	ნინო	ცოფურიშვილი	12	თამარ	ქენქაძე	17	ომარ	ხოზრევანიძე	23	ეკა	ოგბაძე
6	ნონა	ჯიმბიტაშვილი	12	მაია	ყველაშვილი	17	ციური	ტაკიძე	23	მზია	სეთური
6	ნათელა	გოგოჭური	12	ნინო	პეტრიაშვილი	18	მაისა	ალაჯანიანი	23	ხათუნა	მამუკაშვილი
6	ლალი	ქოქაშვილი	12	მარინე	აქიაშვილი	18	კარინე	მოსიანი	23	ხატია	ბურდული
6	ლელა	ჭინჭარაული	12	ნუნუ	პაპიაშვილი	18	სედა	არუსტამიანი	23	თემურ	კურეტიშვილი

# „სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები კვლავაც გაგრძელდება და ის თითქმის ყველა ოჯახს შეეხება“



ტიცია. აგრარული სექტორის განვითარების მიზნით მინის დამუშავებისთვის ვაუჩერების - აგრობარათების დარიგებამ გლეხი მინისკენ შემობრუნა. მცირე მიწის ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში ფერმერებს ვაუჩერები დაურიგდათ. ბენეფიციარებს საშუალება ჰქონდათ, დაემუშავებინათ მინა ან მიეღოთ სასოფლო-სამეურნეო საქონელი აგრო-ბარათებზე ჩარიცხული ქულების გამოყენებით.

რისხიანი, ფიტოსანიტარულად სუფთა სარგავი მასალების (ნერგების) წარმოების მხარდაჭერას, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება თანამედროვე ინტენსიური ბაღების გაშენებით და ინტერესებული პირებისათვის იმპორტირებული თანამედროვე სასაღებავი მასალების შეთავაზება. ეს ყოველივე კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ბაღების გაშენებას და მცხილეობის სექტორის რაოდენობრივ და თვისობრივ გაუმჯობესებას, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გადავიდეთ გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აგრარული სექტორია. სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები აქ მცხოვრები ადამიანებისთვის ყოველთვის იყო აქტუალური თემა. ყველა ხელისუფლების პირობებში ფერმერები ღიად საუბრობდნენ სფეროში არსებულ ნაკლოვანებებზე და მთავრობის წარმომადგენლებისგან ქმედით ღონისძიებებს მოითხოვდნენ. ქვეყნის სახელისუფლებო ძალები იცვლებოდნენ, მაგრამ დაპირება, რომ გლეხზე და სოფელზე იზრუნებდნენ, უცვლელი რჩებოდა, ისევე, როგორც გაცვეთილი ლოზუნგი, რომ „ძლიერი სოფელი ძლიერი სახელმწიფოს გარანტია“...

ქალაქში წასული მოსახლეობის ნაწილი დაუბრუნდა სოფელს. 2013-2016 წლებში, მარტო დედოფლისწყაროში, ინვესტირების თანხამ შეადგინა 4 519 718 ლარი.

საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტური გამოყენების მიზნით განხორციელდა პროექტი „დანერგე მომავალი“, რომელიც, მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით ითვალისწინებს ადგილობრივი მალახვ-

პროექტის ფარგლებში ივრისპირას, ტარიბანასა და სამთაწყაროში გაშენდა სხვადასხვა კულტურა: 242 ჰექტარზე-ზეთისხილის ბაღი, 85 ჰა - კაკლის, ხოლო

29 ჰექტარზე - ნუშის პლანტაციები. ამ პროექტით ინვესტიციამ 1 ჰექტარზე 7550 ლარი შეადგინა.

შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტი ინიცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და მას 2013 წლიდან ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

პროექტის მიზანია ფერმერების და სოფლის მეურნეობაში ჩართული მენარმეების იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის სანარმოო პროცესების გაუმჯობესება.

„იაფი აგროკრედიტი“ მარტო 2018 წელს ისარგებლა 66-მა დედოფლისწყაროელმა ბენეფიციარმა. პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 37 მეცხოველეობის ფერმა, 10 სასაწყობო მეურნეობა, 2-საკვებდამამზადებელი და ერთი ხორცის გადამამუშავებელი საწარმო. ინვესტირების თანხამ 4 532 401 ლარი შეადგინა.

გიორგი ბენაშვილი დადებითად აფასებს აგრარულ სექტორში მიმდინარე პროცესებს და დარწმუნებულია, რომ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები კვლავაც გაგრძელდება და ის თითქმის ყველა ოჯახს შეეხება.

ინგა შილაშვილი



## ისევ ხალხის ფიქრები

ამ დღეებში დედაქალაქიდან დედოფლისწყაროში მცირე სამარშრუტო ტაქსით ვიმგზავრე. სულ ხუთი მგზავრი ვიჯექით მანქანაში. ჯერ ისედაც გადაჭარბებულად პოლიტიზირებული ვართ ნებისმიერ დროს და, მით უმეტეს, არჩევნების წინ, როდესაც უკვე მეორე ტურია და მხოლოდ ორ კანდიდატს შორის ვიწვევს არჩევანი. ჩვენი „განუყოვნებელი სენია“ არჩევნებისას სუბიექტური დამოკიდებულება და არა ის, თუ ვინ მეტად გამოადგება ქვეყანას, მითუმეტეს, რომ კანდიდატები თავს არ იწუხებენ პროგრამების, სამომავლო ხედვების გაცნობით. ჩვენთან საარჩევნო კამპანიის ძირითადი ხაზი ურთიერთბრალდებები, ტყუილ-მართალით თავის მოწონება, ცილისწამება და სხვა უღირსი საქციელია. მოსახლეობაც შესაბამისად იქცევა და მსჯელობისას სწორედ ასეთ მეთოდებს იყენებს. პოდა, ჩვენს „მარშუტკაში“ ჩაჯდომიდან 5 წუთში უკვე პოლიტიკა შემოიჭრა ჩვენს ურთიერთობაში. ქვეყნის მანერაც კარგად გვაქვს „დამულამებული“ ჩვენი პოლიტიკოსების დამსახურებით და ემოციების ფრქვევით, იმის მცდელობით, რომ ვინც უფრო ხმამაღლა იყვირებს, ის იქნება მართალი, ყველა ცდილობს, თავისი აზრის მტკიცებით ფორმაში წარმოიჩინას. ერთ მამაკაცს (მძღოლი საერთოდ არ ჩარეულა საუბარში და „იობის მოთმინებით“ იტანდა ამ ყველაფერს, და 4 ქალბატონს შორის გამართულმა „ბჭობამ“ ხმის უმრავლესობით გამოკვეთა, რომ ეს მთავრობა დიდი ვერაფერი ბედენაა, გაველარბოდით, არ არის სამუშაო, კრიმინალიზაცია და წვრილმანმა ქურდობამ მოიმატა, ხალხი იმდენად დაბეჩავდა უპოვარ-უქონლობისაგან, რომ აღარაფერი აინტერესებს, ფიქრობენ, რომ ვინც გინდა მოვიდეს მთავრობაში, მათი საშველი არც ყოფილა და არც იქნება, რომ სათავეში მოქცეულნი პირად სიკეთეებზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე ქვეყანაზე, რომ ანაზღაურების ასეთი სხვაობა დაუშვებელია - ზოგიერთ ჩინოვნიკს ათასობით და

ათი ათასობით ლარი ჰქონდეს ხელფასი და ზოგს 500-600 ლარი, უსამართლობაა თუ არა დანაშაული, რომ 180 ლარი პენსია ადამიანების მასხარად აგდება, რომ რასაც აკეთებენ, ისიც ვერ დაუნახებიათ ხალხისთვის, რომ... და კიდევ მრავალი რომ, მაგრამ ისიც აღნიშნეს, რომ შიშში აღარ ცხოვრობენ, მასიურად დარბევები და ადამიანთა დატერორება, პოლიციის მხრიდან ძალის გადამტეხვა თითქმის აღარ გდება, გზების მოასფალტება და ქუჩის განათებები ინტენსიურად იზრდება, რომ საბავშვო ბაღებში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა- გარემონტდა, გათბა, აღიჭურვა, კვება გაუმჯობესდა, რომ ციხეში პატიმართა უფლებები მეტად არის დაცული და პირობებიც უკეთესია და სხვა. თუმცა, ეს ყველაფერი არასაკმარისია იმისათვის, რომ ალტაცებული იყო ხელისუფლებით და ორი ხელით აძლევდნენ ხმას მათ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, რომლის გარშემოც უამრავი ჭორ-მართალია აგორებული. თუკამათეთა შორის გამოირჩევა ერთი ქალბატონი, რომელიც, მიუხედავად იმისა, იფიცებოდა, ტელევიზორს საერთოდ არ ვუყურებ და იუთუბზე უფრო ხშირად შევდივარ-ხოლმეო, აშკარად „რუსთავი-2“-ის ლექსიკითა და ფაქტებით „იგერიებდა“ დანარჩენებს. ჯერ

და გადმოულაგეს მიშას „გმობი“ - ეს ეკლესიების ბულდოზერებით და სატვირთო მანქანებით ნგრევა, ქონების და ბიზნესის დაყაჩაღება-წართმევა, 7 ნოემბერი, იმდის დარბევა, 26 მაისი, გირგვლიანის, ბუჭარაშვილის, ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობები, ვალერი გელაშვილის სასიკვდილოდ ცემა და სულხან მოლაშვილის წამება ციხეში, ციხის ბუნტი, ციხეში არსებული გაუსაძლისი წამება, პანკისის ხეობაში ლაგანყურის ოპერაცია და დახოცილი ვითომ ტერორისტები, ფოტოგრაფების გახმაურებული საქმე, მოსმენები, ტყუილები „წინსვლა-აყვავებაზე“, მათი სითაყვანე და წნეხი „სულს ამოგხდით.“ „ორი გვაში მჭირდება“,

ვლესობაში“ ერთი აზრი გამოიტანა, ასეთები იშვიათები არიანო და დაასკვნა, რომ, მართალია, არც მთავრობით არიან კმაყოფილი და არც სალომეთი, მაგრამ მაინც ესენი ურჩევიან.

ავტოსასადგურში დავიშალეთ, მძღოლმა ამოიხუნტა და თქვა: ნეტავ მალე მთავრდეს ეს არჩევნები, დავილაღე ამდენი სისულელის მოსმენით ჭკვიანისა თუ უჭკუოსაგანო. მე კი სურვილი გამიჩნდა, ამ ხალხმრავალ ადგილზე პატარა ჟურნალისტური კვლევა ჩამეტარებინა. და აი, რას ფიქრობს ხალხი;

ომარი ნ. - ხევსურების უბანში ვცხოვრობ. ჩვენთან ისეთი ქუჩებზე დაეგო ასფალტი და გაკეთდა საღვარეები, სიზმარშიც ვერ ვნახავდით. ოთხი შვილი მყავს, ორი სკოლაში დადის, ორიც - ბაღში. ჩვენგან ცოტა შორსაა საბავშვო ბაღი, მაგრამ მაინც დამყავს, კარგი კვება, სახლში ვერც კი ვახერხებთ ამდენს, სითბო და სისუფთავეა და, რაც მთავარია, არავითარი გადასახადი, მთავრობა ფარავს ყველაფერს. დიოურად ვმუშაობ, სადაც ვიშოვი, არაფერს ვთავილობ - კიდევ ვბარავ, კიდევ ვტვირთავ, შეშის დაჩხვებზე მივიდივარ, მშვირები არ ვართ, მაგრამ... ხალხს ეკონომიურად ძალიან უჭირს, მაგრამ ყველა გზა კუჭზე ხომ არ გადის, როცა ჩვენს წინაშე




ზოგადად, „ნულოვანი ტოლერანტობა - ყველა ციხეში!“ და უამრავი სხვა რამ, მაგრამ ამაოდ, ნირი ვერ შეაცვლევინებს ქალბატონს. პირველი ის ჩავიდა, „მარშუტკიდან“ და მაინც თავისას გაიძახდა: „უფალმა უკეთ იცის, ვის მოგვავლენს მხსნელად, მე ჩემი აზრი და ჩემი რწმენა მაქვს და ვერაფერს შემაცვლევინებსო.“ „მარშუტკაში“ დარჩენილმა „უმრ-

არჩევანია, ქვეყნის სასიკეთოდ უნდა ვიზრუნოთ. მე ხმას მივცემ მთავრობის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს, მაგრამ, ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უნდა იფიქროს მთავრობაში. ადგილობრივ ხელმძღვანელებთან პრეტენზია არ მაქვს, რის საშუალებაც აქვთ, აკეთებენ.

(გაგრძელება გვ.9)





გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

# ისევ ხალხის ფიქრები

(მერვე გვერდიდან)

ეთერ ს. - სხვა გზა არ არის, კიდევ ერთი წელი „ოცნებაში“ უნდა გავატაროთ, ვნახოთ, როგორ შეასრულებს ბიძინა ამ დაპირებას. თუ ძველი დაპირებებით „გადაგვადო“, აღარ გავრუმდებით. რაც შეეხება ნაცების მობრუნებას, ზღაპარია. მათი ნდობა არ შეიძლება, რასაც გინდა შეგვპირდნენ. ხომ გაგიგონიათ: „... დაჩვეულს ვერ გადააჩვევო.“ ისინი ისეთივე სულსწრაფობით, ეიფორიით, აფიტირებულებით გვეპირდებიან იმას, რისიც თავდაცვ არ სჯერათ. მათი მობრუნებით ქვეყნის მატარებელი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. გვახსოვს, სააკაშვილი ისეთი ემოციებით ყვებოდა ხოლმე გაკეთებულ წვრილმან საქმეებზეც კი, რომ ტყუილსაც გაჯერებდა, გვექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ქვეყანაში შეუქცევადი აღმშენებლობა უსწრაფესი ტემპით მიმდინარეობდა, ერთი ობიექტის ოთხივე რაკურსით გახსნა და ტაშის გრილი ეხერხებოდათ. ესენი კი ისე უემოციოდ, წყნარად იტყვიან ხოლმე გახსნა მინი-ქარხანა, გზა, ხიდი, ლტოლვილებს გადაეცათ ბინებიო და სხვა, რომ ჩვეულებრივ ამბად ალიქმება. არადა, როცა ციფრებს ასახელებენ, ექვს წელში იმაზე მეტი საქმე გაკეთდა, ვიდრე იმ უბედურ ცხრა წელში.

ქვეყანა და ხალხი ამ გაჭირვებიდან გამოიყანონ, რაშიც ვართ ჩავარდნილები, მარტო ერთმანეთის თვალში ბენჯნ ეძებენ და საკუთარში ღირს ვერ ხედავენ. ასეა თუ ისე, მე მაინც სწორი არჩევანი სალომე ზურაბიშვილი მგონია.

**ზურაბი** - ახლა არ არის დრო, ძალადობრივი რეჟიმი დავაბრუნოთ, სმა უნდა მივცეთ მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს და არჩევნების დამთავრებისთანავე ჩავუთხოთ ნამზომი მთავრობას, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და საქართველოს იმიჯის დაუზარალებლად წარმართოს საგარეო პოლიტიკა.

**ზეინაბი** - ამასწინათ ევროპული საქართველოს წარმომადგენელმა ნინო სამადაშვილმა დასკვნით ფრაზაში თქვა, რომ „უნდა გავიხედოთ წინ და უკან - უკან ყურებაში კისერი არ მოვიტყუოთო და წინ ვაშაქე ივულისხმა მთელი თავის გეგმებით: სააკაშვილის და მთელი მისი გუნდის შეწყალებით. არადა, სააკაშვილი პასუხობს: „კი მაგრამ, რა მჭირს მე შესაწყალებელი, უკაცრავად?“ ეს ხომ აშკარაა, რომ ის არაფერს არ ნანობს და კვლავაც გააგრძელებს ქონების ჩამორთმევას და „ხალხისთვის დარიგებას“. ჩვენ ეს უკვე გავიარეთ და ძალიან მტკივნეულადაც. ბევრი რამ მახსენდება იმ პერიოდიდან უარყოფითად, მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ მისი ნათქვამი: „რა მოხდა, ერთი ორი ქვალორლიანი სოფელი დაიკარგაო“, - ეს როგორ უნდა დავივინყოთ?! ერთი სიტყვით, არა უნდა ვუთხრათ ნაცმოძრაობას და გავაგებინოთ, რომ მათი დრო დამთავრდა, ისინი პოლიტიკური არენიდან უნდა ნავიდნენ და მისცენ საშუალება ქვეყანა მშვიდად განვითარდეს იქნება ეს „ოცნების“ პირობებში თუ სხვა, ახალი პოლიტიკური ძალის პირობებში.

**ასეა, ახლა ყველა მივიღეთ არჩევნებზე და გამოვხატოთ ჩვენი ნება ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ისე, როგორც დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეებს შეგვეფერება.**

ნაირა გორაშვილი

## 1959 WLIS NOEMBERI

● SAWADRAKO KLUBIA, TU SAWADRAKO FARDULI, VER GAIGEB. 4 NOEMBRIS GAZETSI GAKRITIKEBULI IYO WTELWAROS SOFLIS KOOPERATIVIS FARDULIS GAMIDVELI G. AVAQOVI IMZEROM FARDULIS GVERDIT XIS YUTEBIT SEMO FARGLUL ADGILAS TAMSOBEN WADRAKS, SVAMEN MAGAR SASMELEBS DA IWVEVEN XMURS. STATIIS PASUXAD SOFLIS KOOPERATIVIS GAMEOBIS TA VMDOMARE ANKANAGI DATUKISVILI GVWERS, ROM SAQME GANXILA GAMEOBIS KREBAM DA GAMIDVELS GAMEOXADA SAYVEDURI, XOLO FARDULIS SXVA ADGILZE GADASATANAD DASMULIA SAKITXI RAISABWOS ARMSKOMS WNASE.

● MLICIIS UFROSM GAATARA ZOMBI, RADGAN OZAANIS KOLMEURNEOBIS AVTOMAN QANAZE UNEBARTVOD MUSAOBIS GAMO AVTOMROL OZASVILS AERZAL MARTVA SOFEL ZEMO MCXAANIS KOLMEURNEOBIS AVTOSAXELOSNO GADAFORNEBULI IQNA STS-IS MER KOLMEURNEOBAZE QVEMO QEDSI MXOVREBLEBS NINOSVILSA DA WUWLASVILS, ROMI BMC ZVELI NAWLEBISGAN TVITNEBOBIT ARADGINES AVTOMOBILEBI DA HQONDAT PIRAD SARGELOBASI, CAMOERTVAT DA GADAECA KOLMEURNEOBAS ISEV DASAS LELAD. XOLO, MOQALAQE SARDION FIROSMNASVILS MSUBUQI AVTOMANONA POBEDA-DAELUQA TAVISIVE BINAZERTI WLIS VADIT, RADGAN IS SEMNEULI IYO GADAWARBEBULI SISWRAFITMOZRAOBASI.

● NAYOFIERAD MUSAOBEN NORCI NATURALISTEBI ZEMO QEDIS SKOLIS SACDEL NAKVETZE MT UKVE DAAMFAVRES SASEMDGOMO SAMSAOEBI. MO SAVLIS AREBIS SEMDEG NAKVETI GAWMNDES. SEITANES SASUQL, DABARES DA DATESES MARCVLEULI, BOSTNEULIDAN KINIORI. MOWAFEBI YVELDRIURAD AKVIRDEBIAN GARVIVEBISA DA ARMOCEBIS PROCESS. SEMOUBARES XEXILIS ZIREBS, GAATETRES KIRIS XSNARIT, AMSI MT BIOLOGIIS MSWAVLEBELI M COXELI EXMREBA.

● BAIDACATMDAN REDAQCIASI MUSKORTA SIGNALI MOVIDA, ROMLITAC MILEBULI IYO BAIDA-CATMS MRAZIIS GAME-GAMIDVELI BAKASVILI, ROMELIC SAQONELS YIDDA ZEDMET FASEBSI. AMAVE WERILIS ASLI MIRO PARTIIS WTELWYAROS RAIKOMA DA ZOMBIS MSAREBAD GADASCA WTELWAROS SOFLIS KOOPERATIVIS GAMEOBAS. KREBAM GANXILA DA GAME-GAMIDVELI MOASORA AM TANAMDEBOBIDAN.


## 1975 WLIS NOEMBERI

● SRULI UPASUXISMGBLOBA GAMICINES OZAANIS KOLMEURNEOBIS DA SASOFLO SABWOS MUSAKEBMA, ROCA ORJER NASAMRTLEOBIS MOONE S. ALBUTASVILS SASULEBA MSCES SOFEL TAVWAROZE WAMDEWO BINIS MENELOBA DAMASTAN ERTAD EXOVRA. ALBUTASVILS LOTOBIS MDREKILEBA HQONDA, GASULI WLIS 10 NOEMBERS, RAMT MAJAXIS KISRIS ARESI DARTYMT MOKLA MOQALAQE WOWKOLAURI. SESFOTEBAS IWVEVS IS FAQTI, ROM WTELWAROS SASOFLO SABWOS DEPUTATEBI, AQTVI, ADMNISTRACIULI ORGANOEBIS MUSAKEBI, RAISABWOS SAMETVALYUREO KOMSIA QMEDIT RONISZIEBES AR AXORCIELEBEN PATIMROBIDAN DABRUBUL. PIRTA SAZOGADOEBRIV CXOVREBASI DA SASARGEBLO SROMASI CASABMELAD. WTELWAROSI REGISTRIBUL GANZRAX MVLELOBATA ORI SEMTXVEVA CAIDINES SWORED IM PIREBMA, ROMELNIC DABRUBULNI IYVVEN SAPATIMRO ADGILEBIDAN.

● YVELANI MOWMENI VART, PRESAM TELEVI ZIAM RADIOM DA MTELMA SAZOGADOEBAM DIDI BRZOLA GAACARA SAZKVEBIS ADGILEBSI GAMEFEBULI UWESRIGOBIS ARSAKVEDAD. SIMARTLEITQVAS, BEVRI RAM GAMDSORDA USUFTAQOBA, KLIENTIS MOTYUEBA, UFAQTURO PRODUKCIIS SEMOTANA DA SXVA BEVRI USGAVSOBA ARIKIVETA. MAGRAM YVELAFERI JER KIDEV RIGZE RODIA! SAILUSTRACIOD AVIROT WTELWAROS RKNIGZIS SADGURSI ARSEBULI BUFETI, SADAC MUSAOBDNEN EDUARD XARASVILI DA LOMJAR

ABULASVILI. FUFETI WWORIS SAGZAO RES TORNIS FILIALIA, AMTOM WORELI DIREKTORISA DA BURALTRIS WAYRUEBITA TUDAUDEVROBIT SARGELOBDNEN DA 1974 WLIS MARTIDAN 6 TVIS GANMAYLOBASI MITVISES 213 MNETI, XOLO, ROCA TAVI XAFANGSI AMOHYVES, MOHVNEN TAVIS MARTLEBAS, SAXLSI GYQONDA DAMLULI, GEGMS TU VER SEVASRULLEBDIT, AM FULIT GADAVFARAVDITO. ATASITUKBILO TYUIL-MARTALI TQVES, MAGRAM VINDAUJERA? ORIVES SAKADRISI EZROT - EQVSEQVSI WLIT TAVISUFLEBIS ARKIVETA.

● GAZARCVES ZEMO QEDLI LEVAN LURSMANASVILIS BINA, QURDEBMA YVELAFRIS WAREBAIKADRES. ARSFOTDA MLELI SOFELI, XALXIDAMNASAVIS POVNAS ITXOVDA XALXIS RIXSIVVA DIDI IYO, RADGAN ES PIRVELI SEMTXVEVAVAR ARIS. QURDBACACEBMA GAZARCVES SOFELSI



№2 სკოლა. 1978 წ. - რაიონში არა გვყავს საჭირო კადრები, რომლებიც შრომით სწავლებას ჩაიბარებენ. ზოგან არასპეციალისტები ასწავლიან, ზოგან კი 3 წელია ცდება შრომის საათები. სკოლებს არა აქვთ ასაკის შესაფერისი შრომითი იარაღები

FEXSACMLIS SEKETEBIS FARDULI, SAIDANAC XARAZIS IARAREBI DA RAMDENIME DAKONKEBULI FEXSACMELI, SAZIRE MASALA DA RARAC JRANEBI WAIRES. XARAZIS GAZARCVAS MALE ZED MOHYVA SAPARIKMAXEROS GASUFTAVEBA-, MERE KI KLUBIDAN ORI ZVIRFASI ELEQTROGITARA CAIYLAPA. CQAROBD A XALXI, MAGRAM AR CQAROBD A SSAMNISTROS GANYOFILEBIS ZEMO QEDIS UBNIS INSPEQTORI LEVAN WKLAURI. MS SXVA FIERI AWALEBDA, YVELA OBIEQTIS MARCVLELERTIDAIGIVE PIRNI XOM AR IYVVEN? AMTOM DATOVEBUL KVALS ERTMNETS ADAREBDA. MVIDA DASKVNAME, ROM ERTI PIRNI DAZVREBODNEN. MAGNO LURSMANASVILIS BINIS MARCVLEBS, ROMLEBMAC UCILEBELI MKICEBULEBIS NAXVIS SEMDEG ARIARES, ROM MT GAZARCVES SXVA DANARCENIC. NAPOVNI A ELEQTROGITAREBIC. LURSMANASVILEBSAC NIVTEBI DAUBRUNDAT. DAMNASAVEEBI MALE WARSDEBIAN SASAMRTLOS WNASE MAGRAM VIN ARIAN ISINI? ZEMOQEDLEBI: SPARTAK WKLAURI, MERAB QENQAZE DA AVTAN DIL TANDILASVILI.

● SAESTRADO INSTRUMENTULM MUSIKAM 60-IANI WLEBIDAN DIDI NAXTOM GAKETA. ADAMANS METI SASUALABA EZLEVA GAECNOS AXALNAWARMOEBES, ROMLEBIC IWREBA DIDI RAO-DENOBIT CVENS QVEYANASI, MOZME RESPUBLIKEBSI DA SAZRVARGET. BOLO WLEBSI WTELWYAROS RAIONSIC GAMCND A JAZURI MUSIKS BEVRI MMDEVARI. JAZUR MUSIKAS MSOFLICESTRADAZE GAMOCENIS DIDI ISTORIA AQVS. ROMELIC WARMISVA ZANGURI XALXURI MELODIEBISGAN. MDIXAR RAIONIS QUCEBSI DA UCEB SAIDANRAC GESMS MUSIKS HANGEBI, ROMLEBIC CQARA ZLIERDEBIAN DA MALE GAYRUEBEN KIDEC. TURME, VINNE AXALGAZRDAS GULSI CAUXUTEBIACARTULI TRANZISTORULI RADOMREBI, AN MIREGABARITIANI MAGNITOFONI DA MUSIKITKBEB A SEIZLEBA ASETI SURATIC GINAXAVT, ROCA ORI AXALGAZRDA ERTAD MODIS, ORIVES MMREBI CARTULI AQVS MAQSIMLUR SIZLIEREZE DA SXVADASXVA MELODIAS USMENEN. XSIRAD - RADIOD TAVISTVIS GAHKIVIS, PATRONI KI ARXEIMESAUBREBA SXVAS.

(STILI DACULIA) მოამზადა ილია გარტყოფლიშვილმა

ვანო, ეთერი, ინგა და ირმა შიოლაშვილები, ქეთი მუშუქუდიანი იუნჯებიან მეზობლის

მურად ხარაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ძმა ზეიმა, რძალი მიმოზა, ძმისშვილები: ეთერი, ილია, ია ყაჭაშვილები ოჯახებით იუნჯებიან

ელენე ყაჭაშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ლალი და კობა პოპიაშვილების ოჯახებს დედის გარდაცვალების გამო.

ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საშუალო სკოლის 1988-89 წლების კურსდამთავრებულები თანაგრძნობას უცხადებენ მამუკა ბოჭორიშვილს მამის

ნოდარ ბოჭორიშვილის გარდაცვალების გამო.

შალვა თეთვაძე, ანზორ კირვალიძე, ნაირა გორაშვილი, თამარიკო მოძღვრიშვილი, დემნაზი სულაშვილი, ელდინო თითილოკაშვილი, ციცო გოზალიშვილი, ნანა ლაპიაშვილი, თამარიკო ქადაგიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ქეთინო ხუციშვილს მეუღლის, მაია და მამუკა ბოჭორიშვილებს მამის

ნოდარ ბოჭორიშვილის გარდაცვალების გამო.

ციური გოგოლაშვილი, ვალერი, ზურა, ნინო იაკობიშვილები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ქეთინო ხუციშვილს მეუღლის, მაია და მამუკა ბოჭორიშვილებს მამის

ნოდარ ბოჭორიშვილის გარდაცვალების გამო.

# ფონდმა „ქართუმ“ ოზანისა და მირზანის ეკლესიები აღადგინა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზანის „ყველანმის“ სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული აღდგენითი სამუშაოები დასრულებულია. რეაბილიტაცია კომპანია „სალდომ“ განახორციელა. როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, ძველი გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება, ყველანმის მცირე ეკლესიად მოიხსენიება და მისი აგების სავარაუდო პერიოდად XVI-XVII-ე საუკუნე სახელდება.


კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში ირწმუნებიან, რომ ეკლესიის აღდგენა სახელმწიფო საბიუჯეტო თანხებით არ მომხდარა და მისი დაფინანსება სრულად უზრუნველყოფონდა, რომელიც ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებულია და „ქართუმ“ ფონდიდან ფინანსდება. ამ ფორმით „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის“ მიერ „ქართუმ“ ბიძინა ივანიშვილის ფინანსური მხარდაჭერით ჩვენს ქვეყანაში არაერთი ისტორიული ძეგლი აღდგა. ობიექტურობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ გავრცელებულ ინფორმაციებსა და ფოტომასალაში არსად არ არის დაკონკრეტებული, რომ ამჯერად ოზანში ისტორიული ძეგლი ივანიშვილის ფონდის დაფინანსებით აღდგა. ამის დაკონკრეტება მხოლოდ ჩვენი გაზეთის რამდენიმე მცდელობის შემდეგ მოხდა. სააგენტოში ამბობენ, რომ სხენეული ფონდი თავად ირჩევს ძეგლებს და თავადვე განსაზღვრავს, რომელი ძეგლების აღდგენის აუცილებლობა დგას. ასე მოდა ამ შემთხვევაშიც, დამოუკიდებლად შეარჩიეს სოფელ ოზანში მდებარე ძეგლი. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ მხოლოდ ნებართვა გასცა.

სააგენტოს მიერ მონაწილეებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, სამუშაოების შედეგად არქეოლოგიური ზედამხედველობის ქვეშ ეკლესიის გარშემო

ხელით მოიჭრა მიწა. ეკლესიის მთელ პერიმეტრზე აღდგა დაზიანებული კედლები რიყის ქვით კირდულაზე, გადაეწყო და გამაგრდა კარნიზქვეშა ქვის წყობა მთელს პერიმეტრზე. მოხდა დასავლეთის შესასვლელ კარში ძველი წყობის დემონტაჟი და აღდგა ქართული აგურით და შერჩეული რიყის ქვით ნორთხლების გამოყვანით, მოეწყო ხუთრიგა კარნიზი ქართული აგურით კირდულაზე. სახურავზე მოიხსნა ძველი ჩაკირული ფენა, რის შემდეგაც გადაიღეს კორხსნარით და მოეწყო კრამიტით ასევე კორხსნარზე, ეკლესიის ინტერიერი, კედლები, კანკელი და ქერი გაინმინდა ძველი ნალესობისგან და გასუფთავდა ლითონის ჯვარისებით, ფასადებზე და ინტერიერში ქვის ნაკერები ამოიგოზა სპეცკორხსნარით, მოეწყო ეკლესიის იატაკი და შემალელებული ამბოინი ძველი ქართული ნარჩევი აგურით, მოეწყო სარკმლები და

სააგენტოს სპეციალისტი ქეთევან დილმელაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ძეგლის უნიკალურობაზე ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ სოფელ ოზანში ყველაზე უკეთესი დამახასიათებელი ნიმუშები სწორედ ამ ძეგლს ჰქონდა შემორჩენილი.

„ეს ძეგლი პირადად მოვიწახლეთე რეაბი-



ოზანის „ყველანმიდა“ რეაბილიტაციის შედეგად



ოზანის „ყველანმიდა“ რეაბილიტაციამდე

ლიტაციამდე. ძალიან კარგი ადგილია, ამიტომ მართლაც ძალიან გამიხარდა, რომ სურვილი გაუჩნდა და აღადგინეს. გამოკვეთილად ჩანდა, რომ სოფელ ოზანში მდებარე სხვა ძეგლებთან შედარებით ეს ყველაზე კარგ მდგომარეობაში იყო. კარგს ვგულისხმობ, რომ ყველაზე უკეთ ქონდა გამოხატული ეპოქის ნიშნები,

აღდგა. მისი თქმით, პროცესში მემკვიდრეობის სააგენტო იყო ჩართული, ამდენად მისთვის უცნობია, რა ფინანსებით მოხდა ამ ტაძრების აღდგენა.

ამას გარდა, რამდენიმე თვის წინ იგივე პროექტით ეკლესია აღდგა სოფელ მირზანშიც. ძველი მდებარეობს ცენტრში, სოფლის სასაფლაოზე, მას ალავერდის ეკლესიის სახელით იცნობენ, იგი დარბაზული ტიპისაა, აღმოსავლეთით შევილი აფსიდით, დასავლეთით ერთადერთი კარით, ნაშენია შერეული წყობით-ქართული აგური და ადგილობრივი შერჩეული რიყის ქვა. ნაგებობა რამოდენიმეჯერ გადაუკეთებიათ. ე.წ. სამრეკლო უსახური თუნუქითაა დახურული, დაზიანებები ფასადებზეც. ჩრდილო დასავლეთ კუთხეში დაზიანებული კუთხე რუსული თანამედროვე აგურით ამოუშენებიათ, ფასადი უხარისხოდაა შეღესილი, მიწის ქვეშ არ იკითხება ეკლესიის ცოკოლი. 2017 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდთან“ ერთად მირზანის ალავერდის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა, რის შედეგადაც მოიხსნა მიწა ეკლესიის მთელ პერიმეტრზე და აღდგა ცოკოლი, მოეწყო სარინები ეკლესიის ირგვლივ რიყის ქვით, გამოიკვალა უვარგისი შესასვლელი კიბეები დასავლეთ კარებთან, გამოიკვალა დაზიანებული ქართული კრამიტის სახურავი, ასევე მოიხსნა და გამოიკვალა უსახური თუნუქის სახურავი ე.წ. სამრეკლოზე, მოიხსნა და გამოიკვალა დაზიანებული და ცუდად დანაწობილი აგურის კარნიზი, სრულად გაინმინდა ოთხივე ფასადი და სამრეკლო უვარგისი ნალესობისგან, მოიხსნა გვიანი, რუსული აგურით აღდგენილი კუთხე ჩრდილო დასავლეთით, მოწესრიგდა ტაძრის ინტერიერი.

„ქართუმ“ ფონდის მიერ ჯამში 800 ძეგლი აღდგა. მათ შორის რამდენიმე დედოფლისწყაროში.

ილია მარტყოფლიშვილი

კარები, ეკლესიის გარშემო მოეწყო სარინული შერჩეული რიყის ქვით კირდულაზე, აღდგა ქვის ცოკოლი მთელ პერიმეტრზე.

ეკლესიის რეაბილიტაცია და შესაბამისი სამუშაოები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვისა და საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით 2018 წლის მაისი-ივლისის თვეებში განხორციელდა.

საოცარ ხიბლს სძენდა ცისფერი ჭიქური შორეკეცები. რეაბილიტაცია სააგენტოს არ უწარმოებია, ჩვენთან შეთანხმდა სანებართვო პროცედურები. ინტერესიც ფონდმა გამოხატა, თავად შეარჩია ძეგლი და დაფინანსებაც თვითონვე უზრუნველყო. საინტერესოა, შიდა სამუშაოები როგორ ჩატარდა. დასრულების შემდეგ არ მომეცა საშუალება, ჩავსულიყავი და პირადად მენახა, როგორია. იმედი მაქვს, კვალი არ ნაშლილა და ისე გამაგრდა და კედლები ისე შეღესეს, რომ ისტორიული, ეპოქისთვის დამახასიათებელი შტრიხები არ გამქრალა.“ – განუცხადა „შირაქს“ სააგენტოს სპეციალისტმა ქეთი დილმელაშვილმა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურში ამბობენ, რომ ბოლო ხანს დედოფლისწყაროში კიდევ რამდენიმე ძეგლი აღდგა. ძეგლთა დაცვის სპეციალისტი სერგო ქართველიშვილის ინფორმაციით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 4 ეკლესია



მირზანის რეაბილიტირებული ალავერდი

**ულოცავენ!**  
**ია და მამუკა ყავრალიშვილებს!**  
გილოცავთ შვილის გიორგის დაბადების დღეს, ასევე სკოლის დამთავრებას და უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას. ცხოვრებაში ყოველთვის გქონოდეთ წარმატება. ია, გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო საყვარელო, იყავი ჯანმრთელი და ბედნიერი შენს ოჯახთან ერთად.  
მამინა, თამარი, ირმა სენიაშვილები;  
ბებია ანტიკა სენიაშვილი თავის ოჯახით.

**იყიდება!**  
იყიდება კერძო სახლი დედოფლისწყაროში, შერეთის ქუჩა №160 (შერეთისა და ალადაშვილის ქუჩების გადაკვეთასთან ახლოს) დაღვიკავშირდით:  
599-87-56-22  
599-40-96-19  
გიგო ბოსტაშვილი

**იყიდება ბინა!**  
ქ. დედოფლისწყაროში, ცენტრალურ მაგისტრალზე, ყოფილი მესამე სკოლის (ილიაუნის ფილიალი) წინ, იყიდება ერთოთახიანი კორპუსის ბინა პირველ სართულზე, სათავსოთი. რუსთაველის ქუჩა №116. ფასი: 2 700 \$.  
☎ 593 275-275

ამინდი		დედოფლისწყარო									
ორშაბათი 26.11 დღე	სამშაბათი 27.11 ღამე	ოთხშაბათი 28.11 დღე	ხუთშაბათი 29.11 ღამე	პარასკევი 30.11 დღე	შაბათი 01.12 ღამე	კვირა 02.12 დღე	ღამე				
☀	☾	☀	☾	☀	☁	☁	☁				
5°	4°	6°	5°	11°	10°	12°	6°	4°	1°	1°	0°

გამომცემელი შპს „შირაქი“  
დირექტორი ინგა შიოლაშვილი  
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი  
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტუდენტ-ჟურნალისტი); ნათია გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-ჟურნალისტი); მზინა ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).  
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

REDAQIIS MSAMRTIA  
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,  
ტელ. 0 356 22 55-49;  
598 72-18-72 (დირექტორი)  
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.